პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 222 (18764) სამშაბათი, 27 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ჩვენს ინტერნაციონალურ ოჯახში

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი დირსეულად ხვდება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ალექსანდრე პოტიომკინი ხელმძღვანელობს, წლიურ გეგმას საიუბილეოდ შეასრულებს. სურათზე: ც. მალუმაშვილი, ვ. კარამიანი, ა. პოტიომკინი და ფ. დილმელაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ავამაღლოთ საბჭოების როლი კომუნისტურ მშენებლობაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე 1983 წლის 17 სექტემბერს

ამხანაგებო!

მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ არსებითს გარემოებას. **დღეს ამ დარბაზში შეკრებილთა აბსოლუტურ უმრავლესობას სხვადასხვა დონის საბჭოების დეპუტატები შეადგენთ.** ჩვენს შორის არიან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებიც, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც, მეცნიერებისა და განათლების მოღვაწენიც, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, წარმოების ნამდვილი ნოვატორები და მოსამსახურენი. ერთი სიტყვით, აქ წარმოდგენილია ჩვენი მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა და კატეგორია.

სწორედ ჩვენ, ყველანი ერთად, წარმოვადგენთ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოების ხელისუფლებას, რომელიც ვ. ი. ლენინის ბრძნული განსაზღვრებით, „ყველასათვის მისაწვდომი ხელისუფლებაა". ეს ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლებაა და სწორედ ეს გახლავთ მისი წარუვალი ისტორიული ძალა.

„მთელი ხელისუფლება — საბჭოებს!" — ამ საბრძოლო ლოზუნგს ბოლშევიკთა პარტია თანამიმდევრულად ახორციელებდა მსოფლიოს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ქმნადობისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე. დღეს, როცა სოციალიზმის ისტორიული მონაპოვარნი შეუქცევადი გახდა, როცა საბჭოთა ხალხს მტკიცედ უჭირია ხელი ქვეყნის მართვის დემოკრატიული ბერკეტები, საკითხი ის არის, თუ **როგორ გამოვიყენოთ უკეთ და უფრო შედეგიანად ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების უმდიდრესი შესაძლებლობანი, როგორ ავამაღლოთ შემდგომ საბჭოების როლი და ავტორიტეტი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში.**

გუშინ რესპუბლიკური კრების მონაწილეებმა სექციურ სხდომებზე, დღეს კი პლენარულ სხდომებზე გვაცნობეს ძალზე ბევრი საინტერესო და საგულისხმო რამ იმის თაობაზე, თუ როგორ მტკიცდება ამ ბოლო წლებში საწარმოების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების, რაიონების და ქალაქების ეკონომიკა, როგორ ფართოვდება სოციალურ-კულტურული მშენებლობა ქალაქად და სოფლად, როგორ უმჯობესდება ადამიანთა კეთილდღეობა. ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ ცვლილებებზეც, რომლებიც მოხდა საბჭოების, მათი დეპუტატების, მრავალრიცხოვანი აქტივის საქმიანობაში, გააშუქეს ის დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რესპუბლიკის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური, სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული პრობლემების გადასაჭრელად რომ წარმოებს.

ასეთ საქმიან, გულახდილ სხა-ბაასს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების გამოდილების გაზიარებისა და საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს კრებას მეორე მხარეც აქვს. მისი მოწყობა ობიექტურად მოამწიფა და განაპირობა თვით იმ ამოცანების ხასიათმა და სპეციფიკამ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსა და რესპუბლიკის მართვა-გამგეობის სახელმწიფო ორგანოების წინაშე რომ დგას საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ახლანდელ ეტაპზე.

სკკპ XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა ამომწურავი დახასიათება მისცეს **განვითარებულ სოციალიზმს.** მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება გახდა **მართვის დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარება, მშრომელთა ინიციატივის ამაღლება.**

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა ადგილობრივი საბჭოების, როგორც იმ ორგანოების დამოუკიდებლობის გაფართოებას, სადაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი აქტიურად ებმება და მონაწილეობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება **სოციალისტური ეკონომიკის სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის** პროცესში, როცა ისინი დამატებითს ბერკეტებს იღებენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ასამაღლებლად, ყველა შრომითს კოლექტივზე გავლენის გასაძლიერებლად.

საერთოდ კი, ახალი საბჭოთა კონსტიტუციით დამკვიდრებული თვალი ეს ძვრები გამოხატავს ობიექტურ და კანონზომიერ გადასვლას **კომუნისტურ თვითმმართველობაზე, სრულ სახალხო ხელისუფლებაზე.**

სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი" სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი წერს:

„ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში მდიდრდება სოციალისტური დემოკრატიის შინაარსი, ქრება ისტორიულად დამკვიდრებული შეზღუდვები, უფრო მრავალფეროვანი ხდება სახალხო ხელისუფლების განხორციელების ფორმები. ამ პროცესის მიმდინარეობა განუხრელად არის დაკავშირებული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან, რომელიც თავად განიცდის ფასებრივ ცვლილებებს. მათგან უმნიშვნელოვანესია პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ".

სრულიად კანონზომიერია, რომ ჩვენი კრების მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება მიაპყრეს სწორედ იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს გარდამქმნელი როლის შემდგომი ამაღლების შესახებ პარტიის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის ძირითად დებულებათა განხორციელებასთან, საერთო-სახალხო სახელმწიფოს ხერხემალს ხომ სწორედ სახალხო დეპუტატთა საბჭოები შეადგენენ.

წლების მანძილზე შეძენილი მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბჭოები **განახორციელებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას,** ე. ი. იღებენ გადაწყვეტილებებს და თვითონვე აგებენ პასუხს მათი რეალიზაციისათვის, შეუძლიათ უზრუნველყონ დიდი მობილურობა და ოპერატიულობა მართვაში, ძალებისა და რესურსების კონცენტრაცია საკვანძო პრობლემებზე. და იქ, სადაც საბჭოთა ორგანოები აქტიურად მოქმედებენ, მარჯვედ უხამებენ ერთმანეთს მმართველობითს, ორგანიზატორულ, საკონტროლო, აღმზრდელობითს ფუნქციებს, როგორც წესი, აშკარად იგრძნობა ეფექტიანი გავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს პროცესზე.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების წინაშე მდგომი ამოცანების წრე ერთობ ვრცელი და მრავალფეროვანია. ეს ამოცანები გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის დარგის კურსიდან, რომლის გამტარებლადაც ჩვენი საბჭოები გვევლინებიან.

სწორედ ამიტომ, მათი საქმიანობის მთავარი მიმართულებანი ყველაზე განზოგადებული სახით წარმოგვიდგება როგორც

— სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, მისი თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება;

— სოციალური გარდაქმნების ფართო პროგრამის თანამიმდევრული რეალიზაცია;

— სოციალისტური დემოკრატიის ყველა მხარის შემდგომი გაფართოება-გაღრმავება და ამ ბაზაზე საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლების განმტკიცება;

— სახელმწიფო დისციპლინის გაძლიერება, სოციალისტური კანონმდებლობის, მოქალაქეთა უფლებების განუხრელი დაცვა.

ყველა ეს საკითხი აისახა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენებაში, ამხ. პ. გ. გილაშვილის ძალზე შინაარსიან და საინტერესო გამოსვლაში.

ნება მიბოძეთ, როგორც დეპუტატმა, ჩვენი კრების დასასრულს გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება ადგილობრივი საბჭოების შემდგომი გააქტიურების, მათი საქმიანი და პოლიტიკური ავტორიტეტის ამაღლების, საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების თაობაზე.

I.

უზრუნველყოთ მთელი სამეურნეო მექანიზმის კარგად გამართული, შეუფერხებელი მუშაობა — ეს დღევანდელობის მოთხოვნაც არის და მომავლის საპროგრამო ამოცანაც. ეს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების სრულყოფის საერთო პროცესის შემადგენელი ნაწილია, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სსვა ვინ, თუ არა ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, უნდა წყვეტდნენ, უპირველეს ყოვლისა, ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას? მით უმეტეს, რომ უკანასკნელ წლებში არსებითად გაფართოვდა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოსილება მათს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოდაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ. ახლა მათ მეტი უფლებები აქვთ მინიჭებული, ეს კი, როგორც ცნობილია, ერთდროულად დიდ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს ყოველ საბჭოთა მუშაკს, თითოეულ დეპუტატს.

კერძოდ, რაიაღმასკომებს გაუზნდათ გაცილებით მეტი შესაძლებლობა უფრო აქტიურად და შედეგიანად უძღვებოდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს რეგიონებში — მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, ვაჭრობას, მომსახურების სფეროს, სოციალური განვითარების, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის საკითხებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მოსახლეობასთან მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობას და ა. შ.

საბჭო — ეს, ერთი მხრივ, არის კოლეგიური, დემოკრატიული ორგანო, მეორე მხრივ კი უმაღლესი ხელისუფლების ელემენტი და იგი მოვალეა მკაცრად ადევნოს თვალი იმას, თუ როგორ ასრულებენ ადგილებზე არსებული კანონმდებლობას, როგორ იცავენ საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ხოლო ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა, როგორც თქვენ, ამხანაგებო, კარგად იცით, — ეს სახელმწიფო კანონია.

იმაზე, თუ როგორ სრულდება საყოველთაოდ ეს კანონი, გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკის ზრდის ტემპი, ჩვენი სოციალური პოლიტიკა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. და თუ, მაგალითად, რვა თვის შედეგების მიხედვით სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმებს ვერ გაართვეს თავი ქალაქმა რუსთავმა, ბორჯომისა და ზოგიერთმა სხვა რეგიონმა, მაშინ გარკვეული პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ეკისრებათ შესაბამის საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსაც. ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის შესრულება ჩაშალა რესპუბლიკაში 78 საწარმომ, და მათ ბრალს გარკვეულწილად იზიარებენ შესაბამისი ადგილობრივი საბჭოები, მათ შორის ამ დარბაზში მსხდომი ზოგიერთი ამხანაგი.

უკანასკნელ ხანს ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ უკეთ უნდა ვუხამებდეთ ერთმანეთს დარგობრივ და ტერიტორიულ დაგეგმვას. ამ საქმეში წამყვანი როლი სწორედ საბჭოებს ეკუთვნის. საქალაქო და რაიონული **საგეგმო კომისიები** ხომ სწორედ მათ წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი.

დაუფარავად გეტყვით, მეტი წილი საგეგმო კომისიების საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ მეურნეობრიობის ახალი პირობები უყენებს. არადა, სწორედ ისინი არიან მოწოდებული საიმედო ბურჯად ამოუდგნენ მხარში აღმასრულებელ კომიტეტებს რაიონებისა და ქალაქების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში. ამხანაგები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, ავლენდნენ საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობის „ვიწრო" ადგილებს, ეძებდნენ წარმოების რეზერვებს.

აღმასკომებს, ადგილობრივ საგეგმო ორგანოებს შეუძლიათ ქმედითი გავლენა მოახდინონ აგრეთვე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა ხუთწლიანი და წლიური გეგმების ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება მიწათსარგებლობას, ბუნების დაცვას, მშენებლობას, შრომითი რესურსების გამოყენებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

მინდა, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრო **სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას.** ჩვენ არაერთგზის აღვნიშნავს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, რომ ეს პრობლემა ადგილებზე უნდა წყდებოდეს იმავე დონეზე, რა დონეზეც მიმდინარეობს სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, რომ უნდა ვეძებთო ყოველგვარი შესაძლებლობა მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ზოგან, მაგალითად, თბილისში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, ბათუმში ამხანაგები უშუალოდ შეუდგნენ ამ პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიებას, ცდილობენ შემოქმედებითად მიუდგნენ მას, ახორციელებენ ექსპერიმენტებს. ყველაფერი ეს ხდება საბჭოების, მათი აღმასკომების აქტიური მონაწილეობით. მაგრამ ასეთი მაგალითები უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. ამავე დროს, ზოზინი აქ შეუწყნარებელია, ეს ხომ სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. რესპუბლიკაში დაგროვდა უდიდესი გამოუყენებელი ფულადი თანხა, რომელიც არსებითად უმძრაოდაა. ასეთ პირობებში საჭირო საქონლით ადამიანთა უზრუნველყოფის საკითხს სრულიად პრინციპული, მე ვიტყოდი, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ შევქმნათ მისი სიუხვე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს რეგიონალურ დაგეგმვაში უთუოდ იგრძნობა ერთგვარი გაუმჯობესება, ადგილობრივმა ორგანოებმა კიდევ ბევრი რამ უნდა განახორციელონ, რათა სრულყონ ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ადგილობრივი სამენი მასალებისა და სათბობის, სამშენებლო ორგანიზაციათა სმძლავრეების, შრომითი რესურსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსების შედგენა. ამ კატეგორიების ცოდნის გარეშე შეუძლებელია განვითარებული სოციალიზმის პირობებში კვალიფიციურად ვმართოთ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროცესები. თქვენ ყველანი, ამხანაგებო, სასოფლო, სადაბო საბჭოს თითოეული თავმჯდომარე, მე უკვე არაფერს ვამბობ რაიაღმასკომებისა და საქალაქო აღმასკომების შესახებ, ვალდებულნი ხართ ღრმად დაეუფლოთ მათ და მართვადი გახადოთ საქმიანობის ყველა სფერო. ეს არსებითად აამაღლებს ჩვენი საბჭოების როლსა და მნიშვნელობას, საგეგმო კომისიების მუშაობის დონეს.

ჯერჯერობით ბევრი მათგანი იმის ნაცვლად, რომ გახდეს რეგიონის ნამდვილი ეკონომიკური შტაბი, ძირითადად მხოლოდ აღნიშნავს ფაქტებს, თავის მუშაობაში სჯერდება მხოლოდ საწარმო-ორგანიზაციებისაგან სხვადასხვა ცნობის მიღებას. აქ, რა თქმა უნდა, მდგომარეობას დაღს ასვამს საგეგმო კომისიების ზოგიერთი ხელმძღვანელის, საფინანსო მუშაკის დაბალი პროფესიული მომზადება, მათი არასაკმარისი ავტორიტეტი. არ **არის** გამორიცხული, რომ კარგი შედეგი მოგვიტანოს **საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ამ კატეგორიის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური კურსების ჩამოყალიბებამ.** გთხოვთ, მოიფიქროთ ეს წინადადება.

რაც შეეხება ავტორიტეტს, ეს ფრიად სერიოზული საკითხი გახლავთ. რაიონული და საქალაქო საგეგმო კომისიების შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი სტატისტიკური, საფინანსო, საბანკო ორგანოების, მსხვილ საწარმოთა ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელები. საჭიროა, კვალიფიციურად ჩავიბაბათ ისინი მუშაობაში, ზუსტად განვსაზღვროთ ყოველი მათგანის მოვალეობათა წრე და პასუხისმგებლობა.

საგეგმო კომისიის თავმჯდომარე შესამჩნევი ფიგურაა ქალაქისა თუ რაიონის მასშტაბით, იგი ახლა იმავდროულად შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეც არის, და რიცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა, ცენტრალური კომიტეტი სულაც არ ხელმძღვანელობდა ფორმალური მოსაზრებებით. და თუ, მიუხედავად ამისა, ავტორიტეტი საკმარისი არ არის, — ამგვარი სიგნალები კი უკვე გვაქვს, მაშინ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას თვით აღმასკომმა, პარტიის რაიონულმა ან საქალაქო კომიტეტმა.

როგორც ჩანს, უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს ამა თუ იმ საგეგმო კომისიის ფორმირების პროცესში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიც. ჩვენთვის ცნობილია, რომ აქ შესაბამისი წინადადებანი არის, და ახლა უნდა დავაჩქაროთ მათი რეალიზაცია, უფრო ხშირი კონტაქტები ვიქონიოთ ადგილობრივ საგეგმო ორგანოებთან.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს **კაპიტალური მშენებლობის** გაუმჯობესებაში. თითქმის ყოველი ორატორი შეეხო ამ საკითხებს. ჩვეულებრივ ყველას სურს, რომ რაიონში შენდებოდეს რაც შეიძლება მეტი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა. ეს კანონზომიერი და სამართლიანი სურვილია. მაგრამ რა ფაფარის ხარჯზე ვაშენოთ? ამისათვის ხომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უზრუნველვყოთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენება. უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა ობიექტი მთავრდებოდეს ვადაში, რომ გამოყოფილი სახსრები არ იქსაქსებოდეს, არ გამკვდარდეს. როცა ჩვენ 10-15 წლის მანძილზე თავს ვერ ვარიმვევთ 500 ათასი, მილიონი მანეთი ღირებულების ობიექტებს—ეს აშკარა უყაირათობაა! თუ იქნება აქ წესრიგი — მაშინ მეტსაც ავაშენებთ.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ქალაქსა თუ რაიონში ყველა მშენებარე ობიექტის — დიდი თუ პატარა ობიექტების ინვენტარიზაციის პრაქტიკა, ის, რომ ეს საჭიროც გავხადოთ კარგად მართვადი სფერო. ახლა ამას წყვეტენ, ძირითადად, პარტიული კომიტეტები. მაგრამ, ჩვენი აზრით, **საქმე თანდათან უნდა აიღონ ხელში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა.** ეს, ამხანაგებო, თქვენი პირდაპირი მოვალეობაა.

ახლა საგრძნობლად მატულობს რეგიონების როლი საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფაში. ერთ-ერთ პლენუმზე ჩვენ საგანგებოდ გავუსვით ხაზი, რომ **არათუ მთლიანად რესპუბლიკა, არამედ აგრეთვე ყოველი ქალაქი, რაიონი, თითოეული ავტონომიური ერთეული თავისი ზრდის ორიენტირად უნდა მიიჩნევდეს საშუალო საკავშირო და ქვეყანაში საუკეთესო მაჩვენებელს, მიზნად ისახავდეს ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენის დაძლევას.**

თქვენ იცით, რომ უკანასკნელ ხანს, მეტადრე იმ სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით, რომლებიც ყოველწლიურად სერიოზულ ზარალს აყენებს რესპუბლიკის ეკონომიკას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რეგიონების დამატებითი დაკალებების შესრულებას. ამ საქმეში აქტიურად არიან ჩაბმული მრეწველობის პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვების გამომვლენი ზონალური კომისიები. აღნიშნულ საკითხს ძალზე სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ტერიტორიული ჯგუფებიც, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორები განაგებენ. დადგა, ალბათ ის მომენტი, როცა ჩვენ გვმართებს **უკეთ დავუკავშიროთ ზონალური კომისიებისა და ტერიტორიული ჯგუფების, მართვის რესპუბლიკური რგოლების საქმიანობა აღმასკომების, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი საგეგმო კომისიების მუშაობას.** ბევრი რეზერვი ხომ სწორედ ყველაზე უკეთ ჩანს ადგილზე. ამხანაგებმა ხშირად იციან მათი არსებობა, და ეს შესაძლებლობანი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

ზემონათქვამი ეხება **სოფლის მეურნეობასაც,** აგრეთვე მის მომსახურე დარგებს. ამ სფეროზე გავლენის მოხდენის მხრივ საბჭოების შესაძლებლობანი ნიადაგ იზრდება, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ მათს გამგებლობაში ჩამოყალიბებულია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი, და ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის სხვა გადაწყვეტილებანი. აგროსამრეწველო გაერთიანებანი არიან საბჭოების სისტემაში, ამ სფეროს მართვენ საბჭოები. რეორგანიზაციის შედეგად მათი პასუხისმგებლობა არათუ არ შემცირდა, არამედ, პირიქით, ამაღლდა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფამ უკვე მოგვიტანა საგრძნობი დადებითი შედეგები. მიუხედავად ამისა, გვაქვს გადასაწყვეტი საკითხებიც, რომლებიც არსებითს გავლენას ახდენს ჩვენი სოფლის მეურნეობის საბოლოო შედეგებზე. თითქოს, რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ყველა ახალი რგოლი საკმაო დროის მანძილზე ფუნქციონირებს საიმისოდ, რომ მათი ადაპტაციის პროცესი დასრულებულად ჩაგვეთვალა. მაგრამ სინამდვილეში ყველგან როდია ყველაფერი ისე, როგორც ჩვენ გვინდა და როგორსაც უფლება გვაქვს მოველოდეთ. ზოგან მუშაობა ძველებურად წარმოებს, არ იგრძნობა ჯეროვანი გარდატეხა საქმეებში, შეცდომებია კადრების შერჩევასა და განაწილებაში, სუსტად მიმდინარეობს ადამიანთა აქტიურობის წახალისება და სტიმულირება.

აი, სწორედ აქ უნდა თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა გაერთიანების თავმჯდომარემ. მას დაკისრებული აქვს ძალზე პასუხსაგები მოვალეობანი, მაგრამ უფლებებიც დიდი აქვს. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ამავე დროს არის გაერთიანების საბჭოს, მისი გამგეობის თავმჯდომარეც, რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეც, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრიც. ამრიგად, ეს არის არა მარტო თვალსაჩინო სამეურნეო, არამედ საბჭოთა, პარტიული ხელმძღვანელიც, რომელსაც მინდობილი აქვს რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ბედი.

როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ერთ-ერთი ხელმძღვანელს, მას შეუძლია ახლენდეს და უნდა მოახდინოს კიდეც გავლენა გაერთიანებაში შემავალი მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა სამსახურების საქმიანობაზე არა მარტო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატის მეშვეობით, არამედ **სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობაში უფრო აქტიური ჩაბმის გზითაც, უფრო ზუსტად, საბჭოებზე დაყრდნობის, მათთან მტკიცე საქმიანი კონტაქტების დაფარების გზით.** იგი მოვალეა სასოფლო და სადაბო საბჭოებთან ერთად რაზმავდეს მშრომელებს სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად, იღვწოდეს პროდუქციის წარმოების გასადიდებლად ყველა კატეგორიის მეურნეობებში.

არადა, სასოფლო საბჭოებს აქ შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ. რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოეპოვებათ გარკვეული ეკონომიკური ბერკეტები, იყენებენ მოსახლეობასთან კოოპერირებას. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასოფლო საბჭოებს, როგორც საბჭოთა ხელისუფლე-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის VII კონფერენციის მონაწილეებს

გულითადად მოგესალმები აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის VII კონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც ქალაქ ტაშკენტში შეიკრიბნენ ამ ორგანიზაციის 25 წლისთავთან დაკავშირებით.

განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე აზია-ს და აფრიკაში დიდი პოზიტიური ცვლილებანი მოხდა. იმპერიალისტური კოლონიური სისტემის ნამსხვრევებზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც სულ უფრო შესამჩნევ როლს ასრულებენ მსოფლიო პოლიტიკაში.

საბჭოთა კავშირში იცნობენ და დიდად აფასებენ თქვენი ასოციაციის საქმიანობას, მის წვლილს ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის პროგრესული ძალების საერთო ბრძოლაში. აზიისა და აფრიკის მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები აქტიურად უწყობენ ხელს მშრომელთა თვითშეგნების გამოღვიძებას, მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას.

თქვენი კონფერენცია მიმდინარეობს უაღრესად რთულ და ძნელ დროს, როცა იმპერიალიზმის მიზნით მკვეთრად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება, გაიზარდა ბირთვული კატასტროფის საფრთხე. ინტენსიურობით უმაგალითო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მილიტარისტულ მზადებას თან სდევს შეტევები მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ძალთა წინააღმდეგ. კვარცხლბეკზე კვლავ აბყავთ „დიდი ხელკეტის" პოლიტიკა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხთა მიმართ. სწორედ ამიტომაც კაცობრიობისათვის არა არის რა იმაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე თავიდან აიცილოს ბირთვული ომი, ალაგმოს უგუნური ბირთვული შეიარაღება, დაბრკოლებანი აღმართოს იმპერიალიზმის აგრესიულ მიხწრაფებათა გზაზე.

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ კეთილი ნების ადამიანთა საერთო მეცადინეობით შეიძლება დავიცვათ მშვიდობა და თანამედროვე ცივილიზაციის რესურსები მოვახმაროთ მილიონობით ადამიანის საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას, კოლონიური წარსულის სამარცხვინო შედეგების ლიკვიდაციას. მოკალაქეობრივი მოვალეობა მწერლისგან მოითხოვს აქტიურად მონაწილეობდეს ამ მაღალი მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობისათვის, ხალხთა პროგრესისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხები იქნება აგრეთვე თქვენი კონფერენციის ყურადღების ცენტრში, რომ თქვენი მწერლური ნიჭი კვლავაც ემსახურება კაცობრიობის კეთილშობილურ იდეალებს.

გისურვებთ დიდ წარმატებებს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ-შემოქმედებითს მოღვაწეობაში, პირად ბედნიერებას.

ი. ანდროპოვი.

მშვიდობისათვის ბრძოლაში

ტაშკენტი, 26 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). უზბეკეთის დედაქალაქი, სადაც მეოთხედი საუკუნის წინ იშვა აზია-აფრიკის მწერალთა მოძრაობის კეთილშობილური ტრადიციები, კვლავ გახდა ორი კონტინენტის პროგრესული მხატვრული სიტყვის ოსტატთა შეხვედრის ადგილი. მეგობრობის, თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით შეკავშირებული ხელოვანნი აქ შეიკრიბნენ აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის VII კონფერენციაზე. წარმომადგენლობითი ფორუმი, რომელიც ამ ორგანიზაციის 25 წლისთავის აღსანიშნავად ეწყობა, განიხილავს ადამიანის გონების გამარჯვების, ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და დამოუკიდებლობისათვის, ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან მჭიდროდ დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს —თანამედროვე ლიტერატურული პროცესის პრობლემებს.

დღეს კონფერენცია საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სასახლეში. აქ მოვიდნენ ლიტერატორთა საიუბილეო შეხვედრის დელეგატები და სტუმრები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მისალმებას აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის VII კონფერენციის მონაწილეებისადმი. მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პ

ავამაღლოთ საბჭოების როლი კომუნისტურ მშენებლობაში!

(ბაგრძელება)

ბის ორგანოებს, დიდი ავტორიტეტი და გავლენა აქვთ. ისინი ყველაზე ახლოს დგანან ადამიანებთან.

სასოფლო საბჭოების უაღრესად აქტიური მონაწილეობით შემუშავდა ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ რიონის კოლმეურნეობის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობის, გორის რაიონის შავშვების საბჭოთა მეურნეობისა და სხვა მეურნეობათა რეალური, დაძაბული სასურსათო პროგრამები, რომლებიც განვიხილეთ ცენტრალურ კომიტეტში სასურსათო კომისიის სხდომებზე.

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ვიმსჯელეთ, თუ რა მუშაობას ეწევა მარტყოფის სასოფლო საბჭო სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. გასულ წელს მოსახლეობაში შესყიდული იყო წინა წელთან შედარებით მეტი: 50 ტონა ხორცი, 2,5 ტონა ყველი, ოთხი ტონა მატყლი, 60 ათასი ცალი კვერცხი, 568 ტონა ხილი. პრაქტიკულად ყველა დავალება გადაჭარბებით შესრულდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება წელსაც იზრდება, ამ ზრდის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფაქტორია დისციპლინის განმტკიცება. დეპუტატები და აქტივი სპეციალურად მიმაგრებული არიან სასოფლო კომლებზე, რეგულარულად ეწყობა სასოფლო ყრილობები. პარალელურად წყდება ბევრი სოციალური საკითხი

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენებაში სავსებით სწორად არის დასმული საკითხი **პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებაში საბჭოების როლის გაძლიერების შესახებ.** სწორედ სასოფლო საბჭოებმა უნდა მიაღწიონ, რომ სოფლად არ დარჩეს არც ერთი კომლი, რომელსაც არ ეყოლება ძროხა, სხვა პირუტყვი, ხელი შეეწყოს მოსახლეობის პირადი მეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობასთან კოოპერაციის განვითარებას.

რა თქმა უნდა, აქ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს არ დავუშვათ გადახრები. ჯერ კიდევ მოდის სიგნალი ადგილებიდან იმის შესახებ, რომ ზოგჯერ პასუხისმგებლობას მოსახლეობისაგან პროდუქტების ნამეტის შესყიდვის მდგომარეობისათვის მთლიანად აკისრებენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, თუმცა **მათ** არა აქვთ წახალისებისათვის არც კომბინირებული საკვების შესაბამისი რესურსები, არც ფული, არც სატრანსპორტო საშუალებები. ამასობაში კი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, რომლებსაც ეს ფუნქცია აკისრიათ, რატომღაც განზე რჩებიან. განა ეს სწორია? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ აი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. მგელაძეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

არ შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების ორგანო დამამზადებლად გადავიქციოთ. ამისათვის ჩვენ გვყავს სამეურნეო ორგანიზაციები. ვაკისრებთ რა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამზადების ფუნქციას, ჩვენ სწორედ ხელმძღვანელობთ ამ დებულებით. მაგრამ, ეტყობა, აქ ყველა ბოლომდე ვერ გაერკვა, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომი არ უნდა ეწეოდეს დამამზადებელი ორგანიზაციის მაგივრობას, არ უნდა კისრულობდეს მათს მოვალეობებს. მაგრამ ამავე დროს იგი უთუოდ უნდა იყენებდეს იმ ბერკეტებს, რომლებიც მის განკარგულებაშია, — არწმუნებდეს, ზრდიდეს ადამიანებს, ეწეოდეს ახსნა-განმარტებითსა და ორგანიზატორულ მუშაობას, იყენებდეს კანონებს, რომლებიც ჩვენში ოპტიმალურად აწესრიგებენ სამეურნეო ორგანოებისა და სოფლის კომლების ურთიერთობას.

აქაც ვერ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა უამინდობის გამო წარმოიქმნება ხოლმე გარკვეული სიძნელენი დამზადების გეგმების შესრულებაში. მაგალითად, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, რომლებიც მეტად მძიმე იყო, მოსახლეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეული ყურძნის მხოლოდ 55 პროცენტი. შეიძლებოდა აგრეთვე პირად სექტორში დამატებით დაგვემზადებინა 70-80 ათასი ტონა ხილი. რა თქმა უნდა, თუ შესაბამის ახსნა-განმარტებითს მუშაობას გავწევდით.

სწორად გამიგეთ, ჩვენ იმის მომხრე კი არა ვართ, რომ მოსახლეობისაგან მთელი პროდუქცია შევისყიდოთ. მაგრამ როცა განსაკუთრებული სიძნელენი იქმნება, ადამიანებს კი სასურსათო რესურსების მნიშვნელოვანი ნამეტი აქვთ, მათთან ისე უნდა წარვმართოთ მუშაობა, რომ ისინი განიმსჭვალონ მთელი რესპუბლიკის ინტერესებით, ნებაყოფლობით და შეგნებულად გვიწევდნენ ანგარიშს.

არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი ჩვენი სახელოვანი სოფლის მშრომელების მაღალ იდეოლოგიურ სიმწიფეში, ერთგულებაში. მათ ეს არაერთხელ საქმით დაუმტკიცებიათ. **და ახლა, როცა ამოცანად დავინახავთ დავძლიოთ უმაგალითო სტეფანეს შედეგები, რესპუბლიკაში დავამზადოთ სულ ცოტა 500 ათასი ტონა ყურძენი, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ნილისა და ციტრუსების შესყიდვის დავალებანი, ჩვენ კვლავ ვართ დარწმუნებული, რომ მთელი სოფლის მოსახლეობა დაგვიჭერს მხარს ამ საქმეში!**

ამ პირობებში ბევრი რამ არის დამოკიდებული ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე, დეპუტატთა პირად მაგალითზე. ამავე დროს მთლიანად უნდა ისარგებლოთ კონტროლის მინიჭებული უფლებით, მაგრამ ადეკვნოთ თვალი **თითოეული გრამი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაცვა-შენახვას,** იმას, რომ იგი **გადამუშავებული იყოს უდანაკარგოდ,** ხოლო თუ რამე მოხდა, დაუყოვნებლივ აცნობოთ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს. არ კმარა, თუ ყველა ამ საკითხს წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ პარტიული და სამეურნეო ორგანოები, ხოლო საბჭოები, მათი აღმასკომები განზე რჩებიან. **ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რესპუბლიკაში თითოეული მტკაველი მიწა მაქსიმალური უკუგებით იყოს გამოყენებული!**

მიიღო პატრონობის უფლება და გახდე პატრონი — ნამდვილი, ბრძენი, თადარიგიანი პატრონი — ერთი და იგივე როდია, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა. უნდა ვიცოდეთ, როგორ გავუფრთხილდეთ საზოგადოებრივ კუთვნილებას. ს ხელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი მოვალეობაა ადამიანებს უნერგავდნენ ასეთ მიდგმას. დღეს არ უნდა იყოს საბჭოთა ორგანო, რომელმაც არ იცის კაპიკებისა და მანეთების გულმოდგინე ანგარიში. ეს ეფექტიანი მეურნეობრობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული **ეკონომიკის მართვის სტილისა და მეთოდების განახლებასთან.**

საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება გარდაუვალად იწვევს წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფას, რომლის ერთ-ერთი ელემენტია მართვა. ჩვენმა საბჭოთებმაც ზუსტად შეეგრძნეს მომწიფებული გარდაქმნის საჭიროება, დაიწყეს ახლის აქტიური ძიება.

რესპუბლიკის რეგიონებში სამმართველო ექსპერიმენტების უმრავლესობა განხორციელდა სწორედ საბჭოთა ორგანოების ბაზაზე პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით. სწორედ ასე იშვა აბაშის გამოცდილება, რომლის საფუძველზე რესპუბლიკაში ყველგან შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებები. საბჭოებისა და მათი აღმასკომების უაღრესად აქტიური და დაინტერესებული, მე ვიტყოდი, კვალიფიციური მონაწილეობით ვითარდებოდა ექსპერიმენტები მახარაძის, გორის, გარდაბნისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, მოქმედებს ფოთში შექმნილი ტერიტორიული დარგშორისი საწარმოო გაერთიანება, რომელიც აღმასკომის გამგეობლობაშია.

ყველა ამ სიახლის შესახებ ჩვენ უკვე არაერთგზის გვითქვამს, და, ალბათ, აზრი არა აქვს დღეს კიდევ ერთხელ დაწვრილებით შევეხოთ მათ. მაგრამ უთუოდ უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდება ისინი, როგორ იყენებენ მათ. თუ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი დღეს მეურნეობრობის ყოველდღიური ნორმა გახდა, ფოთის გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გამოყენებული, თუმცა მან უკვე დამაჯერებლად დაადასტურა თავისი სიცოცხლე, ზედმიწევნით შეესაბამება სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნებს. იგი საშუალებას იძლევა უფრო სრულად შევუხამოთ ცენტრალიზებული მართვა სამეურნეო დამოუკიდებლობას და ადგილებზე ინიციატივას, დავძლიოთ უწყებრიობა და კუთხურობა, და იქ, სადაც მას იყენებენ, ეჭვი არ ეპარებათ საქმისადმი ასეთი მიდგმის მაღალ ეფექტიანობაში.

აი ცნობა თბილისის საქარხნო რაიონიდან. აქ ერთ-ერთი პირველი შეიარაღდნენ ფოთელთა გამოცდილების ზოგიერთი ელემენტით და შემოქმედებითად მიუდგნენ ამ საქმეს. ცხრა თვეში რაიონის მრეწველობა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებს დაახლოებით ცხრა მილიონი მანეთის პროდუქციას. წარმოების ზრდის ტემპი შეადგენს 111,6 პროცენტს, რაც გეგმაზე მეტია. წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია შვიდ მილიონ მანეთისაზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია. ამ მიზნით მთელ რიგ საწარმოებში ხარისხის უმაღლეს კატეგორიაზე ატესტებულია ნაწარმი, რომლის ატესტაცია საერთოდ გათვალისწინებული არ ყოფილა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. არსებითად გაუმჯობესდა ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. საერთოდ, იქ, სადაც ჩვენში ხორციელდება ექსპერიმენტები — თბილისის პირობებშიც, სხვა რეგიონებშიც — საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორც წესი, შესამჩნევად იზრდება.

საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომში შექმნილი ქვეგანაყოფის საქმიანობის შეორე მხარეა **კომერციული მიდგომა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისადმი.** იგი არის შუამავალი საწარმოებსა და სამეცნიერო ქვეგანაყოფებს შორის პარტნიორობის ხელშეკრულებათა დადების დროს, ხელს უწყობს ნარჩენების გადანაწილებასა და გამოყენებას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას ამ ნარჩენებისაგან, მონაწილეობს ზენორმატიული ჩაწოლილი რესურსების გადანაწილებაში. უკვე დადებულია 39 ხელშეკრულება ნარჩენებისაგან მოხმარების საგნების წარმოებაში პარნიორობის წესახებ, დამზადებულია 150 ათასი მანეთის პროდუქცია. საინტერესო ნაბიჯები გადაიდგა ცენტრალიზებულ ტვირთნიდვაში უწყებრივი ტრანსპორტის ჩართვის გზაზე.

ბევრი სასარგებლო სიახლე ინერგება საბჭოთა ორგანოების უშუალო მონაწილეობით სხვა რაიონებსა და ქალაქებში. ეს მუშაობა უნდა განვაგრძოთ და გავაფართოოთ. **საბჭოები მოვალენი არიან განუხრელად აწორციელებდნენ სამეურნეო მშენებლობის ფუძემდებელ პრინციპს — აღწევდნენ უმაღლეს შედეგებს უმცირესი დანახარჯებით.**

უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ აღმასკომები და მათი სამსახურები რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ორმხრივი ღონისძიებების შედგენასა და განხორციელებაში, განსაკუთრებით შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების ნაწილში, — ვიცი, ეს პრობლემა ბევრი რაიონის ხელმძღვანელებს აწუხებს. იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით არის ჩაბმული დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი, რეზერვები ჯერ კიდევ დიდი გვაქვს. აქ უნდა ვიმოქმედოთ უფრო მიზანმიმართულად, ამიტომ **რესპუბლიკურმა ორგანოებმა უნდა დააჩქარონ შრომითი რესურსების გამოყენების კომპლექსური პროგრამის შედგენა.**

დიდ ეფექტს გვპირდება ერთობლივი ღონისძიებანიც, რომლებიც შეიძლება განახორციელონ ერთად ცალკეულმა ორგანიზაციებმა და იმ ადგილობრივი საბჭოებს, მათ შორის რაიონული დაქვემდებარების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, რომელთა ტერიტორიაზე არიან ისინი განლაგებული, დროა უფრო გაბედულად მოვახმაროთ საწარმოთა და მეურნეობათა სახსრები სოციალურ ღონისძიებათა განხორციელებას, წილობრივ მონაწილეობას საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაში, დავსვათ საკითხი, რომ გამოვიყენოთ, სადაც ეს შესაძლებელია, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ცენტრალიზებული ფონდები. თავის მხრივ, საბჭოები უნდა ეხმარებოდნენ შრომითს კოლექტივებს სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციაში, კადრებით კომპლექტაციაში, დისციპლინის განმტკიცებაში.

რა თქმა უნდა, სასოფლო და სადაბო საბჭოებთან საწარმოთა, განსაკუთრებით მსხვილ საწარმოთა ურთიერთობის მოგვარების პროცესი სრულიადაც არ არის უბრალო. მაგრამ იგი აუცილებელია. დაგეგმვისა და მართვის ტერიტორიული მეთოდების გაძლიერება, სამეურნეო დემოკრატიის გაფართოება აუცილებლად მოითხოვს სწორედ ასეთ მიდგომას.

მთავარია, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები არ აჰყვნენ ურთიერთამბიციას. ეს არამც და არამც არ უნდა დავუშვათ. ჩვენ გვჭირდება მათი ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობა. ხოლო თუ ურთიერთობა რატომღაც ვერ გვარდება, აქ დროზე უნდა თქვან თავიანი მნიშვნელოვანი სიტყვა პარტიულმა კომიტეტებმა, თუ კი საჭიროა, ცენტრალურმა კომიტეტმაც. ასეთი საქმიანი მხარდაჭერა ჯერ კიდევ ბევრ აღმასრულებელ კომიტეტს სჭირდება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება, როცა სამინისტროები და უწყებები საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების რეკომენდაციებს, არაოპერატიულად რეაგირებენ მათზე. ცალკეული ფაქტები, მაგალითად, იყო მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში, ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში.

ჩვენ გვგონია, რომ აქ უფრო აქტიური პოზიცია უნდა ეკავოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რომელსაც შეუძლია არსებითი მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული გეგმების შემუშავებაში.

გარდაბნის, ხობისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში შეძენილი გამოცდილება მოწმობს, თუ რა დიდ ეფექტს იძლევა ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობა მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა გამოყენებაში, **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.** საბჭოებს შეუძლიათ სერიოზული გავლენა მოახდინონ ამ საქმეზე, მიაღწიონ, რომ რესპუბლიკა გადაიქცეს ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვის პოლიგონად. სწორედ ასეთი ამოცანა დავსახეთ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე.

და მაშ ვინ, თუ არა ხელისუფლების ორგანოები, უწინარეს ყოვლისა უნდა ზრუნავდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მისი პირობების გაუმჯობესებისათვის? მათ საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვთ გადაშლილი. თავად განსაჯეთ: მთელი ათწლეულის მანძილზე ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობაში შემცირდა მხოლოდ 0,9 პუნქტით, მშენებლობაში — 5,7 პუნქტით. 1979 წელთან შედარებით საბჭოთა მეურნეობების მუშათა ხვედრითი წილი, რომლებიც სამუშაოს ხელით ასრულებენ, შემცირდა მხოლოდ 0,5 პუნქტით, კოლმეურნეობებში ერთი პუნქტით გაიზარდა კიდეც. არადა, ეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებისადმი არასაკმაო ყურადღების პირდაპირი შედეგია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება დღეს ძირითადი პირობა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა, რომელიც ჩვენი საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

II.

სოციალისტურ სახელმწიფოში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა ორგანულად არის დაკავშირებული ფართო **სოციალური პროგრამის** განხორციელებასთან.

რაც უფრო უკეთ ვმუშაობთ, მით უფრო უკეთ ვცხოვრობთ — ამით გამოიხატება შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი. საბოლოო ანგარიშით, ჩვენი მიზანია ზრუნვა ადამიანისათვის, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, და საბჭოები თანამიმდევრულად უნდა ახორციელებდნენ ჩვენი პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს დებულებას.

ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა დეპუტატებმა უნდა გამოავლინონ სიმტკიცე მუშა-მოსამსახურეთა შრომის შემსუბუქებაში. ისინი კი ხშირად არ მუშაობენ ამ პრობლემაზე.

ამას წინათ ამხანაგები გაეცნენ სამრეწველო საწარმოების ზოგიერთი ფილიალის საქმიანობას წალკაში, ახალციხეში, ახალქალაქში. აქ უაღრესად არადამაკმაყოფილებელი შრომის პირობებია, ზოგჯერ არ კმაყოფილდება ელემენტარული მოთხოვნები — არ არის ვენტილაცია, წყალმომარაგება და ა. შ. მაშ რატომ სდუმან რაიაღმასკომები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები? რატომ არ იყენებენ ამ საკითხებს მთელი სიმწვავით? **ადამიანებს შორის ავტორიტეტის მოპოვება შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ განუხრელად ვიზრუნებთ და ვიფიქრებთ მათს საჭიროებებზე.**

ჩვენს მუშაკებს კარგი პირობები სჭირდებათ არა მარტო წარმოებაში, არამედ შინაც, ყოფა-ცხოვრებაშიც. მიმდინარე წლის დამდეგს, როგორც უკვე მოგახსენათ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ე. სარალიძემ, ჩვენ შევხვდით საქალაქო აღმასკომის მუშაკებს, შეხვედრაზე დაწვრილებით შევეხეთ ბევრ სოციალურ საკითხს და მათ შორის წამყვანი ადგილი დავუთმეთ **საბინაო მშენებლობას.** ყველა ადგილობრივმა საბჭომ უნდა იღვაწოს, რომ სრულად იქნეს ათვისებული კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც გამოიყოფა ბინების მშენებლობისათვის. ჩვენ ძალიან ბევრი დავკარგეთ აქ ბოლო წლებში — ათობით მილიონი მანეთი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკაში ბარაკებისა და სარდაფის საცხოვრებელი სადგომების ფართობი 190 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. ეს პრობლემა სერიოზულად დგას თბილისში, სოხუმში, ბათუმში, წყალტუბოში, გურჯაანში, გორში, მახარაძეში, ბოლნისში, წითელწყაროში. საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ ასეთი სადგომების ლიკვიდაციის წლიური გეგმების უთუო შესრულება, გააძლიერონ კონტროლი აგრეთვე საუწყებო ბარაკებიდან და სარდაფებიდან ადამიანების გადასახლებისადმი, პრინციპულად დააყენონ ეს საკითხები შესაბამისი ორგანოების წინაშე.

სერიოზული ნაკლოვანებანია საქალაქო მეურნეობაში, მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში, წყლით, სითბოთი, ენერგიით ადამიანების უზრუნველყოფაში — ეს კი მთლიანად საქალაქო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენციაში მედის.

მაგალითად, შევისწავლეთ თელავის საქალაქო საბჭოს მუშაობა საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის. აღვნიშნეთ დადებითი მომენტები: მაგალითად, ქალაქში გაწლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩაბმული ინკოლექტიურ მოსაკითხების გადაწყვეტაში. ამხანაგებმა გამოძებნეს შესაბამისი ბერკეტები და არხები.

ნუ გგონიათ, რომ ეს ასე იოლია: მიხვალ ქარხნის დირექტორთან და იგი მაშინვე გამოგიყოფს 1,5 მილიონ მანეთს. რა თქმა უნდა, არა. ჩვენი სამეურნეო მუშაკები ბევრის მნახველი ადამიანები არიან, და ისინი რომ დაარწმუნოთ, საჭიროა კარგად იცოდეთ კანონები, არსებული დებულებანი და ინსტრუქციები, აი, რატომ არის, რომ ნიადაგ ჩაგაგონებთ, რომ სახალხო მეურნეობის, კეთილმოწყობის მართვა, ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ეკონომიკური და ხარიჟიული კანონების ღრმა ცოდნის საფუძველზე.

რა თქმა უნდა, თელაველ ამხანაგებსაც აქვთ ნაკლოვანებანი, ხარვეზები. მაგალითად, აღმასკომი საჭიროა სიმტკიცეს არ იჩენს პერსპექტიული პრობლემების გადაწყვეტაში, იშვიათად აყენებს შესაბამისი ორგანოების წინაშე იმ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკიდხებს, რომლებიც ვერ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ დავალებებს. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ მთლიანად საინტერესო მუშაობა წარმოებს, და ეს იმთა არ იქნება, თუ ჩვენი აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები ეწევიან თელავს და ყურადღებით გაეცნობიან იქ მოქმედ მექანიზმს.

რესპუბლიკაში ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ უფრო გალამაზებულიყო მისი დედაქალაქი, მისი ქალაქები და სოფლები. ეს ჩვენი ადგილობრივი საბჭოების უდიდესი დამსახურებაა, და ადამიანები მადლიერებით აფასებენ მომხდარ ცვლილებებს, ისინი გულწრფელად გემადლიერებიან თქვენ.

მიუხედავად ამისა, ყველა საბჭო საკმარისად აქტიურად, მთლიანად როდი ახორციელებს მინიჭებულ უფლებამოსილებას. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა დაბის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხი. საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობს მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი. თქმა არ უნდა, მის შექმნასთან ერთად დაბამ საოცრად იცვალა სახე. ბევრი, ძალზე ბევრი რამ გაკეთდა მისი განვითარებისათვის.

მაგრამ საკმარისი იყო ჩავწვდომოდით, თუ როგორია საბჭოს როლი არსებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ძვრების დამკვიდრებასა და შემდგომ განვითარებაში, რომ გამორკვეულიყო: იგი არასაკმარისია. საბჭო არათუ არ მონაწილეობს საწარმოო გეგმების განხილვაში, არამედ საერთოდაც არ იცნობს მის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა გეგმებს, მაშასადამე, ამხანაგებს არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. საბჭო არ წარმართავს აღმასკომის, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ ამოცანათა შემუშავებისათვის, არ აგვარებს და არ უწევს კონტროლს მათ შესრულებას. იგი სუსტად სარგებლობს იმ ფართო უფლებამოსილებით, რომელიც დღეს არის განსაზღვრული კანონმდებლობით.

და ეს სულაც არ არის უარესი მაგალითი. ზოგან ამხანაგები საოცარ პასიურობას ავლენენ. ქუჩებში ჭუჭყია, ანტიასანტარიაა საზოგადოებრივ შენობებში. და ეს თითქოს არავის აღელვებს. რა ხდება სოფლის განაპირას? რა მდგომარეობაა ზოგიერთი ავტომაგისტრალის გასწვრივ? აქ არ არის ელემენტარული წესრიგი. არ არის ან უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია სანიტარიული ნაგებობანი, ყველაფერი მოუწყობელია. ვიღაცამ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს, სათავეში ჩაუდგეს ამ მუშაობას. და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა ადგილობრივმა საბჭოებმა.

გულახდილად ვაღიარებ, ყველას ძალიან გვტკენს გულს, როცა ჩადიხარ რაიონში, ეწევი სოფელს, მაღაზიას, საავადმყოფოს, სკოლას, ბიბლიოთეკას და ხედავ იქ ჭუჭყსა და მოუწყობლობას, რომ დაწესებულება დაწესებულებას არა ჰგავს, მაგისტრალი კი მაგისტრალს. არ მგონია, რომ ასე ძნელი იყოს აქ თუნდაც გარეგნული წესრიგის დამყარება.

ავიღოთ ჩვენი ცენტრალური ავტომაგისტრალები ლესელიძიდან ყაზბეგამდე. რამდენი უწესრიგობა, უკულტურობაა აქ, და არა მარტო აქ! ხშირად დაინახავთ რომ რაღაც გადათხრილია, ყრია მილიონობით მანეთის ღირებულების დეფიციტური მილები, რომლებსაც თვეების მანძილზე არ აწყობენ ტრანშეებში და ისინი იჟანგება ღია ცის ქვეშ.

შეხვალ მაღაზიაში და აქაც უკეთეს სურათს ვერ დაინახავ, ასე რომ უნებურად სვამ კითხვას: ნუთუ ადგილობრივ ხელმძღვანელებს წლების მანძილზე არ შეუნიშნავთ ამ ობიექტებში? ყველაზე საშინელია, ეს არაერთგზის მითქვამს, როცა თვალი ეჩვევა უწესრიგობას, როცა დაბალი კულტურა ამა თუ იმ რეგიონის, ორგანოს, მუშაკის დამახასიათებელი ნიშანი ხდება, როცა მას ადვილად ურიგდებიან.

აი ჩვენ დავსახეთ კაკლის ხეების რგვის პროგრამა, თითქმის თითზე ვითვლიდით, სად და რამდენი ნერგის გაშენება შეგვეძლო. ეს ხომ ასეთი უდიდესი სიმდიდრეა, და ჩვენი შვილები, ჩვენი შვილიშვილები შეძლებენ მოიმკან ჩვენი გარჯის ნაყოფი. მაგრამ სად არის გარანტია, რომ გაზაფხულზე დარგული ნერგები შემოდგომაზე არ იქნება გადათელილი? განა იშვიათია, რომ სწორედ ასე ფუჭად იკარგება ადამიანის შრომა, ფული, ნიადგები სახალხო დოვლათი?

ზოგჯერ ჩაიკვლი სოფელში, გარშემო მტვრის კორიანტელია, პირდაპირ გზაზე კი ყოველგვარი სანიტარიული ნორმებისა და წესების დარღვევით ადამიანები ხორცს ყიდიან. ნუთუ ამას ვერ ამჩნევენ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, რაიაღმასკომის მუშაკები, სანიტარიული ექიმი, სხვა ოფიციალური პირნი? ან უბრალოდ არ აქცევენ ყურადღებას, შეეჩვევნენ? რა თქმა უნდა, თუ არის ხორცის ვაჭრობის შესაძლებლობა, და გაყიდონ, მაგრამ ამას ხომ შეიძლება მიენიჭოს კანონიერი ხასიათი, აშენდეს პატარა ფარდული ან სავაჭრო, რომ იყოს სისუფთავე და წესრიგი.

ჩვენ დიდი კულტურის რესპუბლიკის წოდების პრეტენზიას ვაცხადებთ. მაგრამ მაშინ არ შეიძლება ასე მუშაობა, არ შეიძლება კვლავაც ასე განვაგრძოთ ცხოვრება. ელემენტარული წესრიგის დამყარება არ მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს, საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ჩარევას, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებს. ასეთი წესრიგი ბევრად არის დამოკიდებული თვით ჩვენზე, და ჩვენ ყველამ უნდა ვაგოთ პასუხი მისი დამყარებისათვის ხალხის წინაშე, ქვეყნის წინაშე.

საქართველოში წლის მანძილზე ჩამოდის 12 მილიონი კაცი. ისინი ჩვენი პროპაგანდისტებიც არიან და ჩვენი კრიტიკოსებიც. მთელ ქვეყანაში ვცდილობენ ისინი ნანახის შთაბეჭდილებას — კარგსაც და ცუდსაც. კაცმა რომ თქვას, საქმე ის კი არ არის, რომ წესრიგი დავამყაროთ სტუმრებისათვის, არამედ ის, რომ **იგი მუდამ უნდა იყოს ჩვენთან.**

სოციალური პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია არა მარტო ადამიანთა ცხოვრების გარეგნული იერსახის შეცვლასთან, არამედ აგრეთვე **სერიოზულ შინაგან გარდაქმნასთან** მათი სულიერი სამყაროს გამდიდრებასთან, პოლიტიკური კულტურის ამაღლებასთან

როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, ცხოვრების დონის ამაღლება ძალზე ფართო ცნებაა, იგი მოიცავს ადამიანთა შეგნებისა და კულტურის განუხრელ ამაღლებას, მათ შორის ყოფა-ცხოვრების, ქცევის კულტურისა და გონივრული მოხმარების კულტურისაც კი. ეს არის სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობა, რაციონალური კვება და მოსახლეობის მომსახურების მაღალი ხარისხი, ეს არის ზნეობრივ-ესთეტიკური თვალსაზრისით თავისუფალი დროის სრულფასოვანი გამოყენება.

ყოველივე ამას ი. ვ. ანდროპოვმა მოსწრებულად უწოდა **სოციალისტური ცივილიზებულობა.** საბჭოები ნიადაგ უნდა უყალიბებდნენ ადამიანებს პიროვნების სოციალისტური ცივილიზებულობისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს.

თანამედროვე მშრომელი განსწავლული ადამიანია მაღალი კულტურული მოთხოვნილებებით, რომლებიც მთლიანად უნდა კმაყოფილდებოდეს. ახლა არ იტყვით, რა მდგომარეობაშია ჩვენში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ბევრ სოფელსა და რაიონულ ცენტრში? არ წარმოებს ელემენტარული მუშაობა, ამხანაგები კი ხელფასს თუმცა არცთუ დიდს, იღებენ. მაშ, როგორ უნდა შევაფასოთ აღმასრულებელი კომიტეტების კულტურის განყოფილებათა საქმიანობა? ცხადია, არადამაკმაყოფილებლად. მოსახლეობის მაღალ კულტურას ვერ მივაღწევთ, თუ არ გვექნა სანიმუშო წესრიგი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სოფლსაბჭოების ზოგიერთი თავმჯდომარისათვის მიკითხავს, ხშირად დადიან თუ არა სოფლის კლუბებში, ბიბლიოთეკებში. სამწუხაროდ, თურმე, იშვიათად. ხოლო რაიაღმასკომების ბევრ თავმჯდომარეს, პარტიის რაიკომების მდივნებს ხშირად არც კი ახსოვთ, უკანასკნელად როდის იყვნენ ამ დაწესებულებებში. ხანდახან კრებ

ავამაღლოთ საბჭოების როლი კომუნისტურ მშენებლობაში!

(დასასრული)

კომპლექსურად, ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით ეწევა მუშაობას გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი საფხოვრებელი ადგილის მიხედვით. შეიქმნა სპეციალური საბჭო, ჩამოყალიბდა გარკვეული სისტემა. ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა ქუჩის მცხოვრებლებთან და ა. შ.

საცხოვრებელ ადგილას მუშაობის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს ქმნიან მიკრორაიონების საბჭოები ქალაქებში. თქვენ გახსოვთ, როცა რამდენიმე წლის წინათ ექსპერიმენტის წესით დავიწყეთ მათი შექმნა. იყო ბევრი დავა, ეჭვი. ახლა ყველაფერი ეს უკან დარჩა, და ჩვენ მადლობელი ვართ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამ წამოწყების აქტიური მხარდაჭერისთვის, რომლის შედეგად გვარიანი უკუგება მივიღეთ. ახლა ჩვენ 56 ასეთი საბჭო გვაქვს. ისინი თითქოს უფრო მეტად აახლოებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ადამიანებთან.

არადა, სწორედ ეს არის საბჭოების მთავარი თავისებურება. ტერიტორიული თვალსაზრისით ჩვენ არა გვაქვს სასოფლო, სადაბო საბჭოებზე, მიკრორაიონების საბჭოებზე უფრო დაბალი მართვის სხვა ორგანოები. ეს ჩვენი ხელისუფლების საფუძველია. **სწორედ ამიტომ ყველა რანგის საბჭოების ეფექტიანობის, ადგილებზე საქმის ვითარებაზე მათი გავლენის ამაღლება დღეს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა.**

III.

ნათქვამის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა რანგის საბჭოების და მათი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის სტილის შემდგომ სრულყოფას.

უსახავდა რა ამოცანებს პარტიულ და სახელმწიფო აპარატს, ვ. ი. ლენინი, როგორც მთავარს, ასახელებდა:

„კავშირი მასასთან.
ცხოვრობდე **შუაგულში.**
იცოდე **განწყობილება.**
იცოდე **ყველაფერი.**
გესმოდეს მასისა.
იცოდე, როგორ მიუდგე.
მოიპოვო მისი **ABSოლუტური** ნდობა.
ხელმძღვანელები არ უნდა მოსწყდნენ მასას, რომელსაც ხელმძღვანელობენ, ავანგარდი — მთელ შრომის არმიას“.

უმნიშვნელოვანესი თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს საბჭოთა აპარატს, — ეს არის **თადარიგიანობა, შემსრულებლობა, სიზუსტე, ოპერატიულობა, შეთანხმებულობა, და, რა თქმა უნდა, ინიციატივიანობა.** საბჭოთა ადმინისტრაციის მანქანა, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, უნდა მუშაობდეს აკურატულად, ზუსტად, სწრაფად.

უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე დიდ ყურადღებას ვუთმობთ რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სტილის სრულყოფას, ამ საკითხებს ყოველწლიურად ვუძღვნით ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ პლენუმს.

უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს** საქმიანობის დონე შესამჩნევად ამაღლდა. ისინი კონკრეტულად და საგნობრივად ახდენენ გავლენას დიდი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაზე.

საბჭოების მართვის საკითხებში პრეზიდიუმის მაღალ კომპეტენტურობას თვალსაჩინოდ მოწმობს ჩვენი კრებისადმი წარმოდგენილი მოხსენებაც, სადაც ფართოდ და ანალიზურად არის ასახული ცენტრში და ადგილებზე საბჭოთა მუშაობის ყველა უმნიშვნელოვანესი ასპექტი, თვით დღევანდელი ღონისძიების მომზადება. პრეზიდიუმმა შესამჩნევად გააძლიერა კონტროლი მართვის ორგანოებისადმი, აამაღლა თავისი მომთხოვნელობა და პრინციპულობა. აქ კარგად ყალიბდებიან კადრები, იზრდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა აქტიურობა, მოწინავე მუშებითა და კოლმეურნეებით დაწყებული და რესპუბლიკის ხელმძღვანელებით დამთავრებული.

მართვის მეტად მაღალ კომპეტენტურ ორგანოდ გვევლინება მინისტრთა საბჭო. პირდაპირ ვიტყვი, სწორედ ამის მეოხებით შევძელით არსებითად განგვეტვირთა პარტიული აპარატი, როცა იგი გავათავისუფლეთ ბევრი სამეურნეო საკითხისაგან, და ეს პროცესი გრძელდება. მინისტრთა საბჭოს განყოფილებები დამოუკიდებლად სვამენ და წყვეტენ ბევრ ოპერატიულ საკითხს, მარჯვედ წარმართავენ ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებსაც კურირებას უწევენ.

ამავე დროს, კვლავაც უნდა სრულვყოთ საბჭოების მართვა, გავაღრმოთ მუშაობა, მტკიცედ შევიარაღოდეთ მათდამი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების მოთხოვნათა, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესაბამისად.

უწინარეს ყოვლისა, თავიდან უნდა ავიცილოთ ხელმძღვანელობის ქაო

უკანასკნელი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

● ფინეთი

ვიზიტი დამთავრდა

ჰელსინკი. ფინეთში დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილის მეთაურობით წარმოგზავნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი. იგი აჭ იმყოფებოდა ფინეთის პარლამენტის მოწვევით.

ვიზიტის დროს საბჭოთა დელეგაციის მეთაური მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კოივისტომ. დელეგაცია შეხვდა ესაუბრა პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ვაიურიუენს, საგარეო ვაჭრობის მინისტრს ე. ლაინეს. საბჭოთა პარლამენტარები გაეცნენ ფინეთის პარლამენტის, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საქმიანობას, იმოგზაურეს ქვეყანაში.

ვიზიტის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

● სირია

პრესა აკრიტიკებს

დამასკო. სირიის პრესა მკაცრად აკრიტიკებს ამერიკის ინტერვენციას ლიბანში. გაზეთი „ალ ბაასი“ აღნიშნავს, რომ რეიგანის ადმინისტრაცია განზრახ აღვივებს კონფლიქტს ლიბანში, რათა გაზარდოს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო ყოფნა.

გაზეთი „ტიშრინი“ წერს, რომ 1958 წელს ამერიკის შეერთებული შტატები უკვე შეეცადა ჩარეულიყო ლიბანის საქმეებში. მაშინ ამ ქვეყნის ნაპირებთან გაგზავნეს სამხედრო ხომალდები, საზღვაო ქვეითი ჯარი ბეირუთში დაბანაკდა. თუ 25 წლის წინათ ვაშინგტონი ისწრაფვოდა შეეჩერებინა არაბულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა გაქანება, შეენარჩუნებინა გეგიონში დასავლეთის ინტერესები. და ეხსნა ბაღდადის პაქტი, რომელიც ირღვეოდა, ახლა ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს სამხედრო ინტერვენციით თავიდან აიცილოს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების კაპიტულანტური გეგმების კრახი და გააფართოოს მსოფლიოს ამ რაიონში ამერიკის მხედრიონის სამხედრო ყოფნა.

ფოტოფაქტი

ჩილეში გრძელდება ხაზოგადოებრიობის გამოსვლები პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მანიფესტაციათა ჩახახშობად ხუნტა იყენებს ჯარისკაცებსა და პოლიციელთა მრავალრიცხოვან რაზმებს, რომლებსაც უბრძანებს „იმოქმედონ მკაცრად“, გამოიყენონ იარაღი, ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი.

სურათზე: პოლიციური პიკეტი სანტიაგოს უნივერსიტეტის შენობასთან სტუდენტთა დემონსტრაციის დროს.

საკლესიო ფოტო.

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიის ორგანიზაციული ეტაპი, რომელიც ახლა შეუდგება დისკუსიას ზოგადპოლიტიკურ საკითხებზე. დამტკიცებულია დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემა. დღის წესრიგში 141 პუნქტია, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილების, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეკავებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკითხებს. ბევრი მათგანი პირველადაა შეტანილი საერთაშორისო გაერთიანების განსახილველად სსრ კავშირის ინიციატივით.

სსრ კავშირმა, რომელიც ერთგულია თავისი ტრადიციისა, სესიაზე რომ წარდგეს კონსტრუქციული სამშვიდობო წინადადებებით, წამოაყენა ახალი ინიციატივა — მსოფლიო გაერთიანების განსახილველად შეიტანა საკითხი „კოსმოსურ სივრცეში და კოსმოსიდან დედამიწის მიმართ ძალის გამოყენების აკრძალვის ხელშეკრულების დადების შესახებ“. მას განიხილავენ გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში (პოლიტიკური საკითხები და უშიშროების საკითხები, მათ შორის განიარაღება).

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური კურსის გამო, რომ გააღვივოს რეგიონალური კონფლიქტები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პალენტის „ცხელ წერტილებს“. უწინარეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის დელეგატებმა ყოველმხრივ უნდა იმსჯელონ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის შესახებ, რომლის სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას აბრკოლებს ამერიკა-ისრაელის გარიგება, და ლიბანის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის გაფართოება. გენერალური ასამბლეა განიხილავს აგრეთვე საკითხს პალესტინელი ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების შესახებ.

განიხილავენ დეკოლონიზაციის, აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემებს.

ფარული ხრიკების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მოახერხა სესიისათვის თავს მოეხვია „ავღანეთის საკითხის“ განხილვა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ავღანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა მ. ფარიდ ზარიფმა განაცხადა, ამერიკის იმპერიალიზმმა თავი არ დაანება ავღანელი ხალხის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდებს, რაც აძნელებს პოზიტიური კლიმატის შექმნას ავღანეთის გამო შექმნილი ვითარების მოწესრიგების საქმეში.

მთლიანად სესიის დღის წესრიგი მოწმობს, რომ მეტ წილ სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ კარგ შესაძლებლობათა შექმნას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ბირთვული მოსპობის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

● ვენესუელა

გულისწყრომით დაგმეს

კარაკასი. ვენესუელის მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ გულისწყრომით დაგმო პირწავარდნილი ანტისაბჭოთა ისტერია, რომელიც ვაშინგტონმა წამოიწყო სამხრეთ კორეის დამრღვევი თვითმფრინავის „ინციდენტის“ გამო და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ პროვოკაციულად მოაწყო. საბჭოს აქ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რეიგანის ადმინისტრაცია ამ უხეშ პროვოკაციას იყენებს აღვირახსნილი ანტისაბჭოთა კამპანიის გაღვივებისათვის, ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას, ხელს უშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმალურ საქმიანობას.

ვაშინგტონი ყველაზე ბინძურ ცილისწამებასაც არ თაკილობს, რათა გაამწვავოს დაძაბულობა მსოფლიოში და ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო უშიშროებას, აღნიშნულია განცხადებაში. ვენესუელის მშვიდობის საბჭოს მთავარ ამოცანად მიაჩნია ამხილოს და ჩაშალოს ყველა იმის ხრიკები, ვინც თავისი ანგარებიანი ინტერესებისათვის პროვოკაციულად აწყობს შეიარაღებულ კონფლიქტებს და მსოფლიო მიჰყავს ბირთვული ომისაკენ, ნათქვამია განცხადებაში.

ქართველ მსახიობთა წარმატება

ვარშავა, პოლონეთის ქალაქ პოზნანში დამთავრდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობთა გასტროლები. დასკვნით საღამოზე მაყურებლებმა ნახეს ბერტოლდ ბრეხტის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“, ისევე როგორც ამ ქალაქში პირველი გამოსვლის დროს, როცა პოზნანელმა მაყურებელმა ნახა ჟილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“, საბჭოთა საქართველოს წარმომგზავნილებს ელოდათ თეატრის ადგილობრივ მოყვარულთა გულმხურვალე მიღება.

ამ ორი სპექტაკლის წყალობით, რომლებიც რეჟისორმა რობერტ სტურუამ წარმოადგინა, წერს „გაზეტა პოზნანსკა“, თვალნათლივ დავრწმუნდით საბჭოთა მსახიობების მაღალ ოსტატობაში, შევძელით გავცნობოდით ქართული ხელოვნების უკანასკნელი წლების მიღწევებს.

ქართული თეატრის დასი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება აქ მიმდინარე მესამე საერთაშორისო თეატრალურ შეხვედრებთან დაკავშირებით. პოზნანის გარდა ქართველი მსახიობები გამოვლენ ვროცლავსა და ვარშავაში.

სეზონი გაიხსნა: გეგმები, ფიქრები

მესხეთის თეატრი: ოცი წელი ხელოვნების სამსახურში

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრმა გაართვა ბოლნისის რაიონებში წარმატებული გასტროლების შემდეგ თავისი საუბილეო, მეოცე სეზონი გახსნა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირით“.

—ამავე დროს, — თქვა თეატრის დირექტორმა და უცვლელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნანა დემეტრაშვილმა,— განვაახლეთ მუშაობა ნ. ბარათაშვილის პოემის მიხედვით შექმნილ სპექტაკლზე „ბედი ქართლისა“. ამ დადგმას ვუძღვნით გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. დღესასწაულის დღეებში დაგეგმილი გვაქვს იგი ვაჩვენოთ შუა საუკუნეების რაბათის ციხესთან. ამ ციხიდან რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებასთან დაკავშირებით რუსეთის აბინის თვალსაჩინო მხედართმთავარმა, ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა გრიგოლ ორბელიანმა ჩამოაგდო თურქეთის დროშა და მასზე საქართველოს დროშა აღმართა. სპექტაკლის მაყურებლები იქნებიან ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები, მისი მრავალრიცხოვანი სტუმრები.

კიდევ ერთი ახალი დადგმა ელით თეატრის მაყურებლებს. ახალგაზრდა რეჟისორი თამილა პატაშური დგამს დრამატურგ თემურ აბულაშვილის პიესას „წეროების გადაფრენას“. ეს პიესა დაწერილია ადამიანთა ზნეობრივი და მორალური ქცევების, მათი ინტერნაციონალური. ურთიერთობის, მიწისადმი აყირათიანი დამოკიდებულებისათვის ერთობლივი ბრძოლის პრობლემებზე.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა თეატრმა, რომელიც ასპინძის, ბორჯომის, ახალქალაქის რაიონების მშრომელებსაც ემსახურება, რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი დადგა. ეს არის, კერძოდ, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“, რომლებიც ერთ სპექტაკლად გაიერთიანა რეჟისორმა გ. მაცხონაშვილმა. თბილისში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე საქართველოს საქალაქო და რაიონული სახელმწიფო დრამატული თეატრების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე ამ დადგმას მიენიჭა ფესტივალის დიპლომი.

რეპერტუარში დამკვიდრდა სპექტაკლები ა. დიუმენმატის „ჩემი საყვარელი ბრალდებული“, ვ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“, „ქართული ვოდევილები“ ა. ცაგარლის მიხედვით, რომლებშიც დასახსომებელი სახეები შექმნეს მსახიობებმა ლია სულიაშვილმა, ოთარ რეხვიაშვილმა, ვაჟა ნიკოლაიშვილმა, გულად კობრეიძემ, გალინა ხვიჩიამ, ლუდმილა მაზანაშვილმა და სხვებმა.

ახლოვდება ღირსშესანიშნავი თარიღი ჩვენი კოლექტივის ცხოვრებაში — თეატრის არსებობის 20 წლისთავი. ბევრს, ალბათ, ახოვს რომ ჩვენ, საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ჯგუფმა სურვილი გამოვთქვით სამუშაოდ წავსულიყავით ახალციხეში და დგვეარსებინა იქ თეატრი. ჩვენს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს, და აი უკვე თითქმის ორი ათწლეულია მთელ ძალ-ღონეს ვახმართ ადამიანთა სულიერი სამყაროს გამდიდრებას, მათს იდეურ, ზნეობრივ, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას. არავის, ვინც იდგა თეატრის შექმნის სათავეებთან, არ უღალატია არჩეული გზისათვის.

ამ წლების მანძილზე ჩვენს კოლექტივს წარმატებებთან ერთად წარუმატებლობაც ჰქონია, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მსახიობთა, რეჟისორთა, სცენოგრაფთა კადრების ნაკლებობით. ახლა ეს საკითხი გადაწყვეტილია, წელს დასს შეემატა შვიდი მსახიობი, რომლებმაც საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრეს ჩვენი საგზურით.

ხკკა ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს დაუსახეს ადამიანთა სულიერი სამყაროს შემდგომი გამდიდრების ამოცანა და ჩვენი კოლექტივი ისწრაფვის პირნათლად შეასრულოს ეს მაღალი მისია.

ახალი სპექტაკლი

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). ახლახანს სახალხო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მაყურებლეს უჩვენა გიორგი იმერლის დრამა „დედის ვარამი“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, რეჟისორმა ა. ჯორბენაძემ, მხატვრობა ეკუთვნის შ. კუნუნულიას.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა თ. ნარსიამ, ვ. ებრალიძემ, კ. ჭყონდამ, გ. ფუოუშაძემ, დ. მგელაძემ, მ. ჭანტურიამ და სხვებმა.

„ლესიაობა“— მეგობრობის დღესასწაული

საკურორტო დაბა სურამში, სადაც დადგმულია ლესია უკრაინკას ბიუსტი და გახნილია პოეტის მუზეუმი, ტრადიციისამებრ თავი მოიყარეს შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა, ომისა და შრომის ვეტერანებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების პასუხისმგებელმა მუშაკებმა, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. ცნობილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილ ზეიმში ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაულში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდნენ დელეგაციები კიევიდან, მირგოროდიდან, პოეტის მშობლიურ ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკიდან, აგრეთვე სევასტოპოლისა და ლენინაკანის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც ეჯიბრებიან ხაშურის რაიონის შრომითს კოლექტივებს.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი, სადაც თავმოყრილია პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

უკრაინელი მწერლის, დრამატურგის ლესია უკრაინკას შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ალ. ბოლოტინი. ამ სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოზე ლესია უკრაინკას ლექსებს კითხულობენ ეროვნული ანსამბლის „ბანდურა“ ბანდურისტები, ასრულებენ ლესია უკრაინკასა და ეროვნული ანსამბლის „ბანდურა“ ბანდურისტებისადმი მიძღვნილ სიმღერებს.

ეს ზეიმი ერთ-ერთ საბოლოო ეტაპად ჩაეთვლება ეროვნული ანტისაბჭოთა ისტერიის ბოლოდროინდელ ფაქტებს,